ბრძანება:**ბ126. 126243581**
თარიღი:**23/12/2024**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, 119-ე მუხლის მე-6 პუნქტის "ა"და "ბ" ქვეპუნქტების, მე-10, მე-11 პუნქტების,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს N27 და 30 სექტემბრის N36 განკარგულებების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე ე მ უხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის2024 წლის 19 დეკემბრის N 4 ოქმის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, იმავე პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე და განისაზღვროს:

1. ქ. წალენჯიხა ზღვაიას დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის დაშლა-გატანა ს/კ N47.11.48.125-3100 ლარი

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 3100 ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---400 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

II. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების თაობაზე და განისაზღვროს:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 573 კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N47.08.37.325) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით---9000 ლარი.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 9000 ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---1000 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 100 ლარი.

III. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული

დღით, ხოლო არა სამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი პირველივე სამუშაო დღეს.
IV. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მდივანს ნინო ძიძარიას უზრუნველყოს საუქციონო განცხადების www.eauction.ge.-ზე განთავსება.
V. ელექტრონულ აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“-ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშებზე, ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში: (მოძრავი ქონებაზე - N300393332; უძრავ ქონებაზე- N300393313; არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - N300393390) სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე--N300393224; უძრავ ქონებაზე--N300393212; მიწაზე-- N3003933047.
VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
VII. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

ივანე ბურდული

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით
მოვალეობის შემსრულებელი)